

# სალოგოზირი ვეროელი

გაზეთი გამოდის  
1921 წლიდან

7  
თავარვალი  
ხათვაათი  
1991  
№ 15  
(11648)

საზოგადოვარი-პოლიტიკური გაზეთი

შანი 10 კაპ.



## გელათი უხეობს ღავეთის სსოვნის ღღაზე

მუთაისი, საქინფორმის კორ. შაპა კილაძე. — 8 თებერვალს, დილის ათი საათიდან სასიქიდულო მამულიშვილის დავითის სსოვნის ღღეს, კვლავ მოუხმობს სრულიად საქართველოს გელათი, სადაც მთავარ ტაძარში გადახდილი იქნება პარაკლისი.

— ვინ იცის მერამდენად იმართება სსოვნის ეს ღღე, მაგრამ წლევა-ნდელი ნამდვილად გამორჩეულია — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, ქუთაისის აკაი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტმა პეტრე ვაჭრიძემ. — დავით აღმაშენებლის სახელთან დაკავშირებულია საქართველოს წარსული დიდება და მომავლის იმედი. იმ უაღრესად რთულ ვითარებაში კი, რაც ახლა ჩვენ გვიდგას, სწორედ ასეთი მამულიშვილის ღვაწლის გახსენება და მის საქმეთა გავრცელებისათვის მზადყოფნა მართებს ამიერ-იმერს. თანდათან იბრუნებს თავის პირვანდელ ფუნქციებს გელათი. აქ კვლავ განახლდა წირვა-ლოცვა. მიმდინარე სასწავლო წელს კი გაიხსნა სასულიერო აკადემია. გრძელდება მთავარი ტაძრისა და მთლიანად სამონასტრო კომპლექსის რეკონსტრუქცია. მაგრამ, ეს მაინც არ ნიშნავს იმას, რომ გელათი კვლავ იქცა „მეორე იერუსალიმად და სხუა ათინად“. ამისათვის კი მთლად საქართველოს ერთ სულ და ერთობრივ შერწყმა, მატერიალური და კულტურული აღმავლობაა საჭირო. ეს ყველაფერი მხოლოდ ჩვენს ზელთ არის.

მშამს, 8 თებერვალს, გელათში შეკრებილი საქართველოს ყველა კუთხის წარმომადგენელი თან ჩამოიტანს ამ კუთხეთა ნებას და დავითის სახელს, მის სსოვნას მისცემს ყველაზე მტკიცე და შეუვალ ფიცს — აშენონ თავისუფალი, ერთიანი, ძლიერი საქართველო.

## ვისაც გელათში გამგზავრება სურს

გაითვალისწინა რა 8 თებერვალს, გელათში, დავით აღმაშენებლის სსოვნის ღღის აღნიშვნისადმი რესპუბლიკის საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მატარებელი თბილისი-ქუთაისი თბილისიდან გავა 7 თებერვალს და ქუთაისიდან გამობრუნდება 8 თებერვალს ჩვეულებრივი განრიგით გათვალისწინებულ ღღოს.

(საქინფორმის).

## „ოდესამ დიდი ყოფილა საქართველო“

— ასე ჰქვია 1991 წლის კალენდარს, რომელიც გამოსცა საინფორმაციო-საგამომცემლო ფირმამ „სიგმა-100“. მაგრამ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს გამოცემა სცილდება კალენდრის ფარგლებს და მას ისტორიული ღირებულება ენიჭება. დაბეჭდილია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რუკა, რომლის საზღვრები აღიარა და დაამტკიცა ერთა ღიგამ. მაგრამ 1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიისა და ოკუპაციის შემდეგ, ბოლშევიკებმა პირველსავე წლებში გულუხვად გაასახურეს ქართული მიწები, რის გამოც რესპუბლიკის ტერიტორია საგრძნობლად შემცირდა. ტერიტორიისთან ერთად დაიკარგა 800 ათასზე მეტი კაცი. დღევანდელი საქართველოს ტერიტორია 69,7 ათასი კვადრატული კილომეტრია.

კალენდარი, რომელიც შეადგინეს ამ ფირმის პრეზიდენტმა მურად აღაშვილმა და შოზი აბრამიძემ საინტერესო ცნობებს გვაწვდის საქართველოს მოსახლეობის შესახებ X-XVIII საუკუნეებში, ისტორიული კუთხეების მიხედვით 1959 და 1989 წლებში. 1989 წლისათვის საქართველოს მოსახლეობა 5 მილიონ 400 ათას 841 კაცს შეადგენდა.

კალენდარში დაბეჭდილია ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ნიმუშების ფოტოილუსტრაციები. აქვეა დასტამებული საღღესოსწაული და უქმე ღღეები, რომლებიც გამოაცხადა საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტმა. მოცემულია თვეებისა და კვირის ღღეების ძველქართული სახელწოდებანი.

კალენდრის ემბლემის ავტორია — ნიკო ედიბერიძე, მხატვარია — ვაქა შაბურიშვილი.

ეს საინტერესო და სასარგებლო გამოცემა ყველა ქართველის ოჯახს უნდა იმშვენებდეს. კალენდრის შექმნის ინდივიდუალურ და კოლექტიურ მსურველებს შეუძლიათ მიმართონ ფირმას. ტელეფონები: 93-15-01, 93-17-58, შექმნა შეიძლება გადარიცხვითაც.

სურათზე: ახალი კალენდარი. საქინფორმის ფოტოკორიკა



### დადგენილება

ა. ა. ზირაძის საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეად დანიშვნის შესახებ

საპარტველო რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 104-ე მუხლის 27-ე პუნქტისა და საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს: დანიშნოს არჩილ არჩილის ძე ჰირაქიძე საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე  
ზ. გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 30 იანვარი.

### ქრონიკა

საპარტველო რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილებით ირაკლი სერგოს ძე ჟორდანიას გათავისუფლდა საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.



„უწყვეტია აი, უმთავრესი სენი, რომელიც ძვირფასად გავგვრდით, შეუძრავი და სწავლის ნიჭი... ეს არის აზრის სიღრმე... არ არის თითონ ცხოვრება ხმა-მალევი და ღრმად... განათლება, სწავლა, ცოდნა — აი, ერთადერთი საშუალება, რომელსაც შეუძლია წამალი დასდოს ცხოვრებას, ჯვალში ჩაუდგეს, ხალხს მხარი მიესცეს და შეეცადოს ამოუჭონ, ვისაც წამალი აქვს, ვისაც მკურნალობა შეუძლია...“

„ამბობენ ღარიბნი ვართ და წელი არ მოგვდევს სწავლა-განათლებისათვის გამოვიღოთ რამე... ღარიბნი თუ ვართ, სწავლა-განათლების უჭიროების მიზეზია. სწავლა განათლება თითონ არის სათავე სიმდიდრისა, მაშასადამე, აქ არაფერია დაზოგვა არ უნდა, რომ ამ სათავედან სიმდიდრის წყარო მოვანდომოთ“

— წერდა ილია ჭავჭავაძე

„მაქართველს დღესაც აკლია პროფესიონალები, უბირველესად კი პროფესიონალი ეკონომისტები, მეურნეები, რომლებიც მოუვლიდნენ და ფეხზე დაყენებდნენ ჩვენი მამულის მორღვევას და მოწილ მემკვიდრებს. მდგომარეობას რომ გაუმჯობესების პირი არ უჩანს, ამაზე ის განუყოფელია ურთველებს; უკანასკნელი ორი წელია რომ სუფევს უმალესი სასწავლებლების მასაღებ გამოცდებზე. ყველაფერი ეს შედეგია იმისა, რასაც ჩვენში სწავლების სისტემა პედაგოგულია დღეს ეკონომიკის სწავლების საკუთრივ ჩვენ დასავლეთის ქვეყნებს შევიდართ. თითქმის შეუძლებელია მათსათვის მწყობრივად სწავლება, რადგან ამდგომარეობა ათ წელეულების მანძილზე ყალიბდებოდა და მტკიცდებოდა, საამისოდ არც მატერიული ბაზა არსებობს ჩვენში და რაც მთავარია არც ისეთი პროფესიონალები გვაყავს, ერთბაშად რომ მოიყვანდნენ ასეთ სისტემას მოძრაობაში, თუმცა სხვათა გამოცდილება უნდა გავიზიაროთ და ისეთ საქმის მოვლოთ ხელი, რომლის ბოლომდე მიყვანა შეგვეძლება.“

საქმის კეთებას კი უმალესი სკოლიდან უნდა მოვიყოლოთ ხელი. დღეს პროფესიონალის უფრო სწორად დამოღობიერებული ეკონომისტის მომზადება ხდება თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამ ეკონომიკურ ფაკულტეტზე: ეკონომიკის, საინჟინრო-ეკონომიკისა და ვაჭრობის ეკონომიკის და საქონელმცოდნეობის, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიკის ფაკულტეტებზე და ზოგის ეკონომიკურ ინსტიტუტში, რომლის ძირითადი პროფილი — საბუნალო-ეკონომიკურია. მომავალ ეკონომისტთა მომზადებას ემსახურება აგრეთვე ამ ბოლო დროს სოკობეობით მონაწილეებული ბიზნესისა და მეწვერთა უმალესი სკოლები და კოლეჯები (სა რაოდენობის რიგები ეკონომისტი რომ გვყავდეს, ჩვენს ბედს ძალიან არ დაწყვედა). მათ შესახებ ერთი გიტყვი მხოლოდ — შეუძლებელია ცხრა თვის განმავლობაში ეკონომისტი, მენეჯერი ან ბიზნესმენი მოემზადოთ — არც სახელი-სა და აბრის გამოცვლა შეეძლოს სწავლების დონის ამაღლებას.

უნივერსიტეტის სამ ეკონომიკურ ფაკულტეტზე ოცნე მერტი სპეციალობაა. ფუნქციონირებს ცამეტი კათედრა და თერთმეტი იტყვი ზოგიერთი ესეც ეცოტაგებია. სტუდენტთა საერთო რაოდენობა რვა ათასს აღწევს, ეს ე. წ. ფსიაბი სწავლების სტუდენტთა გარეშე, რაც მთლიანად უნივერსიტეტის სტუდენტთა რაოდენობის ნახევარია. ამას დაუმატეთ შემოთხმენებულ კოლეჯებსა და ბიზნესის თუ მენეჯერთა სკოლების მსმენელთა რაოდენობა. ნუთუ ერთხელ მაინც არავის არ დაბადა შეიქმნება, ეკონომისტები ჩვენ ცოდნით გვიწინა თუ რაოდენობით?

# უმაღლესი სკოლა და ეკონომიკური სწავლება

მოდით, ახლა იმ სპეციალობებზე გადავხილოთ თვლი, რომლებზეც მიღება გამოცხადდა 1991 წლისათვის (იხ. გვერთი „ახ. ივერიელი“ 1991 წ. 5 იანვარი). ყველა დანარჩენი შორის შეხვედრით ისეთს, როგორცაა ეკონომიკა და მართვა კავშირგაბმულობაში, ეკონომიკა და მართვა სოციალურ-კულტურულ სფეროში, ეკონომიკა და მართვა საყოველთაო მართვა და მართვა სოციალურ მეთოდებში, სამოქალაქო მეთოდებში, მშენებლობაში, მანქანათმშენებლობაში, ვაჭრობასა და საზოგადოებრივ კვებაში, საფეიქრო და მსუბუქ მრეწველობაში. ბევრი სპეციალობა, როგორც აგვისსსსს, ამ დარგის ხელმძღვანელთა ობრეცია და მითითებით იყოფილა გახსნილი. კი მთავრად, ხელ უნივერსიტეტს რომ სთხოვონ მეტალურგებმა, მარკეტინგებმა, საბაზო განათლების სისტემის მუშაკებმა და მრავალმა სხვამ, მათთვისაც უნდა გავხსნათ ახალი სპეციალობები, ჩგუფები და გავებერთ როგორც სტუდენტების, ასევე პროფესორ-მასწავლებელთა, კათედრების, კათედრის გამგეების (ეს არის მგონი, ძირითადი მიზეზი) რაოდენობა. პოლა გავჩვენებ ეკონომიკა და მართვა მარკეტინგობაში, მეაბრეშუმებაში და ა. შ. ეს კიდევ არაფერია. ყველა ეს სპეციალობა დარგობრივი სპეციალობების მომზადების ღონისძიებას არის ამოფარებული, მაგრამ გაავარდნით ჩამონათვისა ვაცნობა. მითუმეტეს, რომ ფრიად საინტერესო საშუალებას უნდა გავაცნობთ: სასურსათო პროდუქტების საქონელმცოდნეობა, არასასურსათო საქონლის საქონელმცოდნეობა, მატერიალური რესურსების საშუალებების საბითუმო ვაჭრობის ორგანიზაცია. რუსები იტყვიან ხოლმე „დოკილიო“. ერთი წუთით მაინც წარმოვიდგინოთ უნივერსიტეტი და საქონელმცოდნეობა. არის თუ არა უნივერსიტეტის ფუნქცია მოამზადოს საქონელმცოდნეობის, გენეზით არასასურსათო და ბოლოს, წელს გამზადარი პირ-

ველურისედი, სპეციალისტი მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ ვახდება, ხუთი წლის შემდეგაც თუ დავკვირდა ჩვენ მატერიალური რესურსების მართვა და წარმოების საშუალებებით საბითუმო ვაჭრობა, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი საქმე ისე უმეღოდ არის, რომ ამ სიტუაციიდან ვეღარასოდეს გამოვალთ. მე შევეცადე მხოლოდ მცირე კომენტარი გამეკეთებინა ამ სპეციალობებისათვის. ჩვენის აზრით, არც ერთი მათგანი საუნივერსიტეტო სპეციალობა არ არის.

წლების მანძილზე ერთი ხელის მოქნევით მიღებულმა გადა-

წყვეტილებებმა უნივერსიტეტში მთლიანად მოშალა ეკონომისტთა მომზადების სისტემა. ცამოსაღალი ერთი: უნივერსიტეტმა ეკონომისტებს სწორედ საუნივერსიტეტო განათლება უნდა მისცეს. უნივერსიტეტში უნდა დარჩეს მხოლოდ ერთი ეკონომიკური ფაკულტეტი შემდეგი სპეციალობებით: თეორიული ეკონომიკა (დღევანდელი გაგებით პოლიტიკური ეკონომიკისა და ეკონომიკური მოძღვრებათა ისტორიის კურსებით სპეციალიზაცია), მარკეტინგო-ეკონომიკა და მარკეტინგო-სოციალური ეკონომიკა (დღევანდელი გაგებით ეკონომიკისა და ეკონომიკური მოძღვრებათა ისტორიის კურსებით სპეციალიზაცია), მარკეტინგო-ეკონომიკა და მარკეტინგო-სოციალური ეკონომიკა (დღევანდელი გაგებით ეკონომიკისა და ეკონომიკური მოძღვრებათა ისტორიის კურსებით სპეციალიზაცია). ამ მხრივ უნივერსიტეტში უკვე გადასაღდა პირველი ნაბიჯები: გაიხსნა მარკეტინგო-ეკონომიკისა და მარკეტინგო-სოციალური ეკონომიკის ურთიერთობის სპეციალობები, ეკონომიკური კომპლექსური და მარკეტინგო-ეკონომიკური ურთიერთობის სპეციალობები, ეკონომიკური და სოციალური დაგეგმვის კათედრა შეიქმნა მარკეტინგის კათედრის თანხლებით, რაც არამარტო აბრის ცვლილება იქნება მომავალში. იცვლება პროგრამები და სასწავლო დისციპლინები.

თავი სასწავლო პროცესი უნივერსიტეტში სამ ეტაპად შეიძლება დაიყოს: I-ეტაპზე სტუდენტი შეისწავლის ზოგად საუნივერსიტეტო დისციპლინებს, ისე-თებ, როგორცაა ფილოსოფია, ფსიქოლოგია, სოციოლოგია, ისტორია, უმალესი მათემატიკა, რიკორიკა, უცხო ენა, ინფორმატიკა და სხვა. შესაძლებელია, რომ რამდენიმე მათგანი შესწავლა სტუდენტმა შემდგომ ეტაპებზეც განაგრძოს. II-ეტაპი ეს უკვე ზოგადი სპეციალური სპეციალიზაციის ეტაპია, სადაც მოხდება ისეთი სავნების შესწავლა ყველა სპეციალობის სტუდენტების მიერ, რა თქმა უნდა შესაბამისი დიფერენციალით, რომლებიც აუცილებლობას წარმოადგენს ყველა ეკონომისტისათვის. აქ შედის, თეორიული ეკონომიკის კურსი, ეკონომიკური მოძღვრებათა ისტორია, ფუნქციონირება, საბანკო საქმე, ფასწარმოქ-

მნა, საბანკო ეკონომიკის მოდელირება, მარკეტინგისა და მარკეტინგის თეორია, სტატისტიკა, საბუნალო-საქმე და მრავალი სხვა. თორვე ეტაპი ერთად შეადგენს მესამე ეტაპის საფუძველს, სადაც მოხდება სტუდენტის უშუალო სპეციალიზაცია. უნივერსიტეტში სწავლების სამეეტაპი დაახლოებით 5-6 წლის მომცველი უნდა იყოს. ჩვენის აზრით, სწორედ ამდენი დროა საჭირო იმ ცოდნის მისაღებად, რომელიც საუნივერსიტეტო ცოდნის შესაბამისი იქნება. შეესწავლიან კურსის დამთავრების შემდეგ, სტუდენტს ჩვეულებრივი მოწმობა (დიპლომი) მიეცემა.

ამავე დროს, კურსდამთავრებულს უფლება მიეცემა გაიაროს დამატებითი პროგრამა და ჩააბაროს სპეციალური სემინარები, რის შედეგადაც მათ, შესაძლებელია, მიენიჭონ გარკვეული სამეცნიერო წოდება. კამათი იმის შესახებ, რა წოდება იქნება ეს, ბაკალავრი თუ მაგისტრი, დღეს მთავარი არ არის, მთავარია ის, რომ ამ წოდების მატარებელი პირი ვინაა ცოდნა და უნარი ვერად ღღევაღღევი წოდების მატარებელი უნდა იქნება, დამატებითი პროგრამის შესწავლა ორ ნაწილად გავყოთ სირთულის და მიხედვით და თითოეული მათგანი წარმატებით დამთავრების შემთხვევაში განსხვავებული დონის წოდებების მინიჭების ინსტიტუტი შეიშოლოს.

ჩაბნ უნივერსიტეტში ეკონომისტთა მომზადების ჩვეულებრივი ეტაპი მეტწილად ვაგაციანია, ახლა, როგორც იტყვიან, მედლის მეორე მხარეც ვანიცილოთ. სად მომზადდეს ის სპეციალისტი, რომლის მომზადება ჩვენი ვარიანტის განხორციელების შემთხვევაში ათარ მოხდება, ეს არცთუ ბატარა პრობლემაა. მაგრამ ისარჩევ ვარიანტებიც საკმაოდ ბევრია. ეკონომისტთა გარკვეულ წრეებში მომზადდა აზრი სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის შექმნისა, რომელიც აკუმულაციას გაუკეთებდა ე.წ. პრაქტიკოსი ეკონომისტების მომზადებისათვის საჭირო ყველა ინტელექტუალურ თუ მატერიალურ საშუალებას. არსებობს აზრი, აგრეთვე, რომ თვით უნივერსიტეტში შექმნას ეკონომიკური პროფილის კოლეჯი. არის მოსაზრება იმის შესახებაც, რომ დარგობრივი პროფილის სპეციალისტების მომზადება თვით ამ დარგის უმაღლესმა სასწავლებლებმა იტვირთონ, როგორც ეს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტშია. ყოველივე ამზე მოფიქრებული პასუხის გაცემა საჭირო. აქ არ ივარგებს, ყველამ ერთბაშად მხარი რომ დაუჭიროთ დღესვე ცალკე ინსტიტუტის შე-

ქმნას (რა თქმა უნდა, ჩვენც მხარე ვართ ასეთი ინსტიტუტის შექმნის), რომ უნდა დავფიქროდეთ სულ ცოტა იმაზე მაინც, ვედავაგები, ლექტორ-მასწავლებლები ვინ იქნებიან ამ ინსტიტუტში. კაცი, რომელიც უნივერსიტეტში ვერაფერს ან არაფერს აძლევდა სტუდენტს, აბრის გამოცვლით გამოიცვლის და გადარჩავენს ცოდნას? სწორედ ამიტომ ვამბობთ, ყველაფერი უნდა აფუნ-დაფუნოთ და ისე გადავწყვიტოთ, მითუმეტეს, რომ ამის საშუალებას იძლევა ჩვენი ვარიანტი განხორციელება, რომლის ამოქმედებისათვის ერთადერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს ის, რომ სასწავლო წლის დასაწყისისათვის მიღება მოხდეს მხოლოდ ჩვენს მიერ შემოთხმული სპეციალობების, ხოლო ყველა დანარჩენი კი — შეწყდეს. ამით საშუალება მოგვეცემა სულ ცოტა თბიან წლის განმავლობაში ვიპოვოთ ის, ყველაწლისათვის მისაღები გადაწყვეტილება, რომელიც უბირველესად ჩვენს ერსა და საშობოლოსათვის იქნება სასარგებლო.

ჩვენ ჩვენი აზრისა და წინადადებების გამოთქმის საშუალება უნივერსიტეტში ეკონომიკური ფაკულტეტების წარმომადგენლებთან მოვახერხეთ. აღსანიშნავია, რომ ასეთი შეხვედრა ჩვენი ინიციატივით მოეწყუო. თავს შევიკავებთ ამ შეხვედრის ბატონობისა (სხვა სიტყვით ჩვე გამოხატავთ) და ხრფიერთი ჩვე უფროსი კოლეგის არცთუ მთლად კოლეგიალური გამოსვლის შეგასუსისაგან. მოხუნდავად ამისა, მოლაპარაკებისა და საერთო გადაწყვეტილების მიღების რეალური გზებიც დაისახა. მაგრამ დღეს ჩვენთვის ყველაზე მთავარი ამ საკითხით დაინტერესებულ პირთა დახმარება და თანადგობა, მათი კრიტიკული შენიშვნა და მათთან ერთად მუშაობაა. ავერ უკვე წელიწადნახევარია ყველაფერს ვაკეთებთ, რომ როგორც ეკონომიკური სწავლების სისტემა გარდაქმნათ და დღევანდლობისთან მოვიყვანოთ. მკითხველს კარგად ახსოვს პოლიტიკონომიაზე დაწყებული ცხარე კამათი. ეს იყო ჩვენი პირველი გამოსვლა და წინადადებულ ნაბიჯი. „ახალგაზრდა ივერიელი“ მაშინ საკმაოდ ადგილი დაუთმო ამ თემას, რისთვისაც დიდ მადლობას გუხვით რედაქციას. ამის შემდეგ ახალი ჩგუფის „მარკეტინგო-ეკონომიკის“ გახსნა მოჰყვა, რომელიც ასევე წარმატებით დაგვიგრინდა, მაგრამ ყველაფერი ეს იყო მხოლოდ ცელები გარდაქმნისა. დღეს კი დაგრძუნდით, რომ ცალკეული ბატარ-ბატარა ცვლილებები თუნდაც გარდაქმნის ვერაფერს მოგიტანს, სწავლების სისტემისათვის მთლიანი და ძირეული ცვლილება საჭირო, გარდაქმნა მკვდრადშობილს ვერ უშველის.

**იხილილ შუახსელი,**  
თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი, საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის მმართველი კომიტეტის წევრი.

## საპარტიველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის მთავარი კომიტეტისა და დარბაზის განკარგულება

იმასთან დაკავშირებით, რომ 1991 წლის 23 თებერვალს თბილისში ეწყობა საყოველთაო სახალხო გამოსვლა საქართველოდან რუსეთის საბჭოთა იმპერიის საოკუპაციო ძალების გასვლის მოთხოვნით და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის წინ გაიმართება საპარტიველო მანიფესტაცია, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის მთავარი კომიტეტი და დარბაზი მოუწოდებს პარტიის საქალაქო და რაიონულ ორგანიზაციებს:

ა) საქართველოს ყველა იმ ქალაქსა და რაიონში, სადაც მოქმედებსა და უზენაესი საბჭოს სახელზე, რომლებიც დაუყოვნებლივ გაეზავნება ადრესატებს და ამავე დროს გამოქვეყნდება რაიონულ პრესაში.

ბ) პარტიის რაიონული ორგანიზაციები სრული შემადგენლობით გამოცხადდნენ აქციაზე და უზრუნველყონ შესაბამისი რაიონებიდან გაფართოებული დედეგაციებით მოწოდების კომისია 1991 წლის 23 თებერვლის კრების საწინააღმდეგო მანიფესტაციები და ჩატარებული აქციების შესახებ სრული ინფორმაცია, წერილობითი დოკუმენტის სახით, სასწრაფოდ გადმოგზავნონ თბილისში, მთავარ კომიტეტში, პრესისა და ტელევიზიისათვის.

ბ) 1991 წლის 15 თებერვალს სხვადასხვა ქალაქებსა და რაიონებში გამართულ ანტიიმპერიულ აქციებზე შედგეს სპეციალური მითვარეები სსრ კავშირის პრეზიდენტისა და უზენაესი საბჭოს სახელზე, რომლებიც დაუყოვნებლივ გაეზავნება ადრესატებს და ამავე დროს გამოქვეყნდება რაიონულ პრესაში.

## საპარტიველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკელთა კავშირი და საქართველოს ძირისტიანულ-დემოკრატიული კავშირი

**პოლიტიკურ ალიანსს**

1. პოლიტიკური ალიანსის სახელწოდება — საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკელთა კავშირი (საქართველოს ძირისტიანულ-დემოკრატიული კავშირი).

2. ალიანსის პოლიტიკურ საქმიანობას წარმართავს საკოორდინაციო საბჭო შემდგარი პარტიების პრინციპზე.

3. საკოორდინაციო საბჭოს ხელმძღვანელობს ორი თანათავმჯდომარე, წარდგენილი შესაბამისი პოლიტიკური ორგანიზაციიდან.

**ირაკლი წაჩთაელი,**  
**თეორიკალიზაციის,**  
**თორნიკა ვიფია,**  
**მირა იაშვილი,**  
**პასილი სომეხიანი,**  
**კომა ხაზაზი,**  
**მარკა ცაბარელი,**  
**რომანო ვიკიანი,**  
**ამალანდი ვიკიანი,**  
**ვალერი კალანდარიშვილი.**

## საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკელთა კავშირის ხელის

სათათბიროს თავმჯდომარე **ირაკლი უნგვალიანი,**  
1.02.1990 წ.

საქართველოს ძირისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ხელის, თავმჯდომარე **ბადრი მახარაძე.**









თანვე ქართული ქრისტიანობის (მარტოზმადიდებლობის) მიღების შემდეგ, ოსები ქართულ ყოფა-კულტურას ადვილად ეთვისებოდნენ.

ქართველი მეფე-თავადთა მიერ ქართულ მიწაზე ოსთა დასახლებით ორი პრობლემა წყდებოდა: ეკონომიკური და დემოგრაფიული.

არსებობს ვრცელ II-ის მიერ გაცემული წყალობის წიგნი 1794 წლისა, რომელთაც ის ვინმე ოსთა თუ შუამდგომლობის უბოძებს თარხნობას და აზნაურობას იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა ოსეთიდან ოსები გადმოასახლა და ქართულ მიწაზე დაამკვიდრა (სცსა, ფ. 1448, საბ. №31).

ასეთი საბუთი XVIII ს-ის მეორე ნახევრისა არა ერთი და ორი გვაქვს, რომლითაც შიდა ქართლის მთაში ქართველთა ნასახლარებზე, გამოხატულ მამულზე ქართველი ფეოდალები ოს ხიზნებს (მიგრანტებს) ასახლებდნენ.

1802 წელს ახალგაზრდა ცხოვრობდნენ ქართველები და სომხები; ჭავჭავაძე (ხევის-ჭავჭავაძე) მხოლოდ ქართველები; ცხინვალში კი — ქართველები, სომხები და ებრაელები (აქტ, I, 470). 1900 წლის Кавказский календарь-ის მიხედვითაც ცხინვალში არაა არცერთი ოსური კომლა.

XIX ს-ის დასაწყისში ოსები მხოლოდ შიდა ქართლის მთაში მკვიდრობდნენ. XIX ს-ის ბირველ ნახევარში ისინი შიდა ქართლის მთისწინეთში დასახლდნენ და XX ს. მეორე ნახევრიდან დაიწყეს ბარის სოფლებში ჩამოსახლება.

1842 წ. რუსეთის იმპერიის სამხედრო მინისტრის ჩერნიშევსკის მოთხოვნის საფუძველზე კავკასიონის სამხრეთ კალთებზე მცხოვრებ მთიელთაგან, რომლებიც ადრე გარის, თბილისისა და თელავის მაზრებში შედიოდნენ, შეიქმნა თუშ-შეშავ-ხევისურეთისა და ოსეთის ოკრუგები.

1843 წ. ოფიციალურად გაიხსნა ოსეთის ოკრუგი, რომელიც სამ უბნად (ჯავის, პატარა ლიხვის და ნარის) დანაწილდა. იმავე წელსვე მთის ოკრუგის უფროსის მთის ხალხის მთავარი უფროსის წოდება მიენიჭა და მას ოსეთისა და თუშ-შეშავ-ხევისურეთის ოკრუგებიც დაეკუთვნებოდა (აქტ, I, 749).

ოსეთის ოკრუგი მოიცავდა შემდეგდროინდელი სამხრეთ ოსეთის აოს ნაწილს და არდონის ხეობას (ისტორიული დედალი). ამ ოკრუგის უფროსის რეზიდენცია იმყოფებოდა ს. ჭავჭავაძის სახლში კონტროლს ვერ უწევდა ნარის უბანს, ვინაიდან დედალი კავკასიონის მთავარი ქედით იყო გამოყოფილი.

ჩრდილოეთ კავკასიაში წარმოებულ სამხედრო ლაშქრობებთან დაკავშირებით, 1858 წ. 3 აპრილს შეიქმნა კავკასიის ხალხის მარცხენა ფრთა, რომლის შემადგენლობაშიც შევიდა ოსეთის სამხედრო ოკრუგი (ჩრდილოეთ კავკასიაში). იმის გამო, რომ ნარის უბანი ახლოს მდებარეობდა ვლადიკავკასთან და წელიწადის ყოველ დროს თავისუფლად უკავშირდებოდა მას, კავკასიის შეფინანცავალმა აა ბარიატინსკიმ ნარის უბანი ჩამოაშორა თბილისის გუბერნიისა და „კავკასიის ხალხის მარცხენა ფრთის“ ოსეთის სამხედრო ოკრუგს გადასცა. ახე ჩამოშორდა საქართველოს ათასწლეულთა განმავლობაში მისი განუყოფელი ტერიტორია — დედალი.

ოსეთის ოკრუგის ძირითადი ნაწილი — ჭავისა და პატარა ლიხვის საბოლოო უბნები, რომლებიც 1922 წელს შექმნილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიის მხოლოდ ერთ მესამედს შეადგენდა, თბილისის გუბერნიის შემადგენლობაში დატოვეს. ვინაიდან ჭავისა და პატარა ლიხვის საბოლოო უბნები მთის ხალხის მთავარი უფროსის ადგილსამყოფელიდან — აზნაურიდან ძველად გადასახლებული ქედებით იყო დადილიებული და ართულდებოდა მის მიერ ამ ხალხების მართვა-გამგეობის საქმეს, ჭავისა და პატარა ლიხვის უბნები ჩამოაშორეს მათ და ოსეთის საბოლოო უბნის სახით გორის მაზრის შემადგენლობაში შეიყვანეს (სცსა, ფ. 10, ანაწ. 1, საქმე 548, ფურც. 3, 6. იხ. აგრეთვე: ზ. ცინციძის საკანდ. დისერტაცია; ვ. გვასალიას წერილი ქუთაისში. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1990 წ. №3).


ახე შევა შიდა ქართლი და მისი მოსახლეობა ქართველებით აღსავსე XX საუკუნეში, რომლის გვლევა ჩვენი კომპეტენციის ფარგლებს სცილდება.

ჯონო მასალია



# სწორად განჭვრეტილი გეზი

„სალომონის ძის არ არსებობს ხალხები“ — ახე იწყებოდა ერთ-ერთი ხაგავთო წერილი, რომელიც მიემდგნა გერმანიაში, გლუკსტადში ახალგაზრდა ქართველი გრაფიკოსის — ოსთარ ჩაკვეტაძის პერსონალური გამოცემის გახსნას. ბროკლირის სახალხეში მხატვრის 54 ნამუშევრის ჩვენება შესაძლებელი გახდა ავტორის — საქართველოს ერთობლივი საწარმოს „დაარბა, ქართული ხანძროსნი“ ხელმძღვანელი. სწორედ ამ საწარმომ, რომელთანაც თანამშრომლობს შემოქმედელი, ითავა გამოცემის ორგანიზება. გამოცემის დიდი წარმატება ხდება წილად და ამის ნათელი დასტურია თუნდაც ის, რომ გულთბილი რეცენზიების გარდა მხატვარმა მამულე მიიღო წინადადება მის გამოცენას, ახალი ნამუშევრებით შეგებულს, გადაეცა ცხინვალში და დიდი ხნით გასულიყო და ცუდი ჯიშით. ახე რომ, წინ არის კიდევ ორი პერსონალური გამოცემა გერმანიაში.



ვინც კი ქართული სახვითი ხელოვნებით დანტერესებულია, მისთვის უთუოდ ძვირფასია ძველი ქართული ხუროთმოძღვრების მკვლევარის, ბატონ ლევან რჩეულიშვილის სტაფა.

ბატონი ლევანი დიდი გულშემატკივარი იყო თანამედროვე ქართული ხელოვნებისა და განსაკუთრებით ყოველი „დამწყები“ შემოქმედისა. სიცოცხლის ბოლო წლებშიც კი ბატონ ლევან ძველად თუ დაასრებდა ვინმე გამოცემის ნახვას და ამა თუ იმ მხატვრის ნამუშევრებით შექმნილი მალღობი გზაგავალს აღამიანთა რიცხვს განეკუთვნება გრაფიკოსი ოსთარ ჩაკვეტაძე. თვითღი წლის წინ ბატონ ლევან თავის სახლში მეზობლის ბავშვები სახატავდნენ შეუკრებავს. სილამო ჟამს, ბავშვთა შობლები შინ რომ დაუკულებია, ერთ-ერთის ნახატე მეორე სართულიდან ძაფით ჩამოშვდა ქვევით, რითაც შობლებებისათვის უცნობებია — თქვენს ვაიშვებს მხატვრის მონაცემები აქვს. გამოხდა ხანი — ახდა ბატონ ლევან უტყუარი ალღობი ნაკარანხვე სიჩკეები. ბიჭუნა, რომლის ჩანახ-

## საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის პროგნოზი

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ეროვნული კავშირის ინიციატივით 1991 წლის 23 თებერვალს საქართველოს დედაქალაქში დაგეგმილია საყოველთაო სახალხო გამოსვლა საქართველოდან რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის ეგრეთ წოდებული სსრ კავშირის საოკუპაციო ჭარების გასვლის მოთხოვნით. აქცია დაიწყება 12 საათზე შოთა რუსთაველის მოედანზე, კინოს სახლის წინ.

მოწყობა გასვლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბთან.

გამომდინარე იქედან, რომ სამშობლოს განთავსულებებისათვის ბრძოლა ყველა ქვეყნისთვის ადამიანის უფლებების მამულიშვილური და მოქალაქეობრივი ვალია, ხოლო საქართველოს თავისუფლების, დამოუკიდებლობის უპირველესი და უმთავრესი პირობაა საქართველოდან საოკუპაციო ჭარების სრული შემადგენლობით გაყვანა, საქ-



ატმაც იგი მოხიბლა, ამჟამად საშხატრო აკადემიის ასპირანტი გახლავთ, საკუთარი ხელწერის მქონე, ჩამოყალიბებული გრაფიკოსი.

ოსთარ ჩაკვეტაძის ინტერესები ჭერ კიდევ სტუდენტობისას გამოიკვეთა. ოფორმის, ლითოგრაფიის, ქსილოგრაფიის მოსინჯვის შემდგომ, მან აითვისა და სრულყო გრაფიკის საკმაოდ უჩვეულო ტექნიკა — გრაფიურა მუყაოზე. ეს შრომა — ტექვანი ტექნიკა ზღუდავს გრაფიკოსის ერთი დაფიდან ამონაბეჭდითა სერიის მიღებაში, მაგრამ სანაცვლოდ მეტად უხსნი გახს ექსპერიმენტს, ძიებას, დისრულეზულ ნაწარმებს კი სიმსუბუქეს, გამჭვირვალეობას, ფაქტურულობას სძენს და ფერის მეტი ნიუანსების საშუალებასაც იძლევა. სწორედ ამ ტექნიკითაა შესრულებული გრაფიკული ფურცლები, გამჭვირვალეობის სერიის თემზე. ქართველ მხატვართათვის ესოდენ ახლობელია, მათ მიერ სხვადასხვაგვარად ხორცი შესრული ძველი თბილისი ითქოს ახლებურად არის წარმოჩენილი გრაფიკოსის მიერ. შობლიური ქალაქის ყოველ კუთხეს, ერთი შეხედვით, უსახურსაც კი, განსაკუთრებული მიზიდულობა აქვს მხატვრისათვის, ოსტატურად შექმნილი განწყობით არის გაჭრებული „ამრილის წვიმა“, „ქარი“, „მოლოდინი“, „ბეჭენი“ თუ სხვა.

„არქიტექტორები“ — ახე ჰქვია „თბილისი და თბილისელები“, სერიის ერთ-ერთი ფურცელი. ხუროთმოძღვრითა ლილისხმე, პუბლიცისტურად მოკლებული არ ჩანს, მაგრამ რაოდენ დაუნდობელია ახალი თბილისის ძველზე შემოტევა — მთელი სიცხადით აშკარადდება თუნდაც ჩვენი, ახალგაზრდა თაობის წინაშე გამოიღებულ მამულე სურათი: ძველი, სასოებით შემონახული სახლებისა და ქუჩების ნგრევა და მათ ნაცვლად უსახური მოედნებისა და ფორმების აღმოცენება...

განსხვავებული მხატვრული მიდგომის ნიმუშია გრაფიკული სერია „სულს აღორძინება“.

მჭრელი ფერადოვნებითა და სეველიანი განწყობილებით გაერთიანებულ ცხრა ფურცელზე სინამდვილე თითქოს ზმანების სამყაროს უთმობს ადგილს. ეკლესიითა თუ ცალკეული არქიტექტურული დეტალით, მორბოლად ნიშანითა წარმოდგენილი აღნიშნული გამოხატულებით, ნიშანითა თუ ცის მიმანიშნებელი ფერადოვანი ჩანარებით იქმნება შინაგანი მოძრაობითა და მუხტით გაჭრებული კომპოზიციები, სადაც უფარვით არის გააცხადებული ჩვენი დროის ენებთაღვლა, ტკივილი თუ იმედი.

გრაფიკული ნამუშევრების გამოცემაში ჩვენი დროის ენებთაღვლა, ტკივილი თუ იმედი. გრაფიკული ნამუშევრების გამოცემაში ჩვენი დროის ენებთაღვლა, ტკივილი თუ იმედი. გრაფიკული ნამუშევრების გამოცემაში ჩვენი დროის ენებთაღვლა, ტკივილი თუ იმედი.

ოსთარ ჩაკვეტაძე დაფიქრებული, საკუთარი თავისადმი მომთხოვნი და თავისი საქმით უსასურროდ დატყვევებული მხატვარია, მან არცა და იცის, რომ მიღწეულით დაქაფილია საკალიოა მხატვრისათვის, რომ რაგინდ ბევრი ჰქონდეს გაერთიანებული, გასაჯრთებელი კიდევ მეტია, მეტია საძიებელი, ორდაშვიდი წლის არაფიკოსს წინ რთული, სიხალისი ხილვითა მოსილი შემოქმედებითი გზა ელის...

მარინა მიწანდარი, ხელოვნებათმცოდნე.

სურათი: ოსთარ ჩაკვეტაძე; „აღმართი“, ხეივანი „სულს აღორძინება“, „გაზრდობა“.

ახალგაზრდა იუვერული

ახალგაზრდა იუვერული

ახალგაზრდა იუვერული

## ქილაობა და პოლიტიკა?..

...დასრულდა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭილაობაში წარსულში სახელოვანი ქართული ფალანგის ვახტანგ ბალაგაძის პრიზზე. აგერ უკვე 30 წელია, რაც თბილისის ტურნირის თავისი ღირსეული ადგილი უკავია ჭილაობის საერთაშორისო ფედერაციის კალენდარში და, ფაქტურად, ყოველ ახალ სეზონს მსოფლიოს წამყვანი ფალანგები სწორედ აქედან იწყებენ. როგორც ყოველთვის, წელსაც თბილისელმა გულშემბატოებარმა არაერთი ცნობილი ათლეტი იხილა აშშ-დან, კანადიდან, ირანიდან, კორეიდან, ბულგარეთიდან, მონღოლეთიდან, იაპონიიდან, საბჭოთა კავშირიდან და, რაღა თქმა უნდა, საქართველოდან.

რჩირის ერთ-ერთი აღმოჩენა, რომელმაც ტრავმის გამო ფინალში ჭილაობა ვერ შესძლო და მეორე ადგილს დასჯერდა. რა თქმა უნდა, ერთი-ორად საინტერესოა, როდესაც ქართული საჭილაო სკოლის წარმომადგენლები მორიგ წარმატებებს აღწევენ, მაგრამ, ვფიქრობთ, ერთი მოკიდების განსაკუთრებით გამოყოფით სხვისი გამარჯვებები არ გაუფერულდება. დიან, ლერი ხაბელოვა კიდევ ერთხელ დაამტკიცა (ალბათ, საბჭოთა კავშირის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ივან იარიგინიც ამ აზრზე იქნება), რომ თავის წონით კატეგორიაში მსოფლიოში ბადალი არ მოეპოვება. ლერის ყოველი გამოსვლა ხალხიანად ნამდვილი პროფესიონალის რიგით ვარჯიშებს ჰგავდა, იმდენად შთაბეჭდილად და ამჟამად იყო მისი უპირატესობა თავის მეტოქეებთან. აღსანიშნავია, რომ ლერი ხაბელოვა მეექვსედ მოიპოვა თბილისის საერთაშორისო ტურნირის ლაურეატობა და კიდევ ბორის ბიგაივან ერთად თავისებურ რეკორდსმენად ითვლება. სხვა მონაწილეთაგან აღსანიშნავია 36 წლის ამერიკელი კრის კემპელის გამარჯვება და, განსაკუთრებით, მისი თანამემამულის დევი შულცის ასევე არა მარტო წარმატება, არამედ თითქმის ყოველი გამოსვლა და... თითოეული ექსტრეტიკი. საგვებით სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღეს ჟეიზრების კორეანზატორებმა (მთავარი მსაჯი — მსოფლიოს ორჯის ჩემპიონი შოთა ლომიძე), როდესაც დევი შულცს მაყურებელთა სიმამათის პრიზი გადასცეს. არადა, სწორედ შულცი იყო „დამ-



ნაშვეე მეტად მწვევე და საორტოფო სიტუაციაში, როდესაც ფინალურ ორთაბრძოლაში მხოლოდ მაყურებელთა აქტიურმა მხარდაჭერამ მოაწვევინა მის ამ ტურნირის ჩემპიონობა. რა თქმა უნდა, ეს ჩვენი სუბიექტური აზრია, მაგრამ, მაინც ვფიქრობთ, რომ ამერიკელი მოჭილაისა და საბჭოთა კავშირის ნაკრების წარმომადგენლის საიგიდ კატინოვასოვის (რომლის მუსულმანურ წარმოშობაში ეჭვი არავის ეპარებოდა) ორთაბრძოლა ირანელ არბიტრს არ უნდა წყვეენა. თავისთავად ცხადია, რომ არც ირანელი არბიტრი და, განსაკუთრებით, არც დევი შულცი არ ფიქრობდნენ იმ მომენტში სპორტის ყურეში მიმდინარე პრობლემებზე, მაგრამ ირანელი მოჭილაის ერთი ნაწილის მოქცევაში კი რაღაც აშკარა ანტიამერიკული რეაქცია დავინახეთ... თუმცა, ეს ყველაფერი წესით გორჯ ბუმს უნდა ეწყინოს, ვიდრე ჩვენ, მითუმეტეს, რომ საბოლოო ჯამში თბილისის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს ყველა კმაყოფილი სტოვებდა.

დასასრულ, მადლიერების გრძნობით გვიდა მოვიხსენიოთ ამ სამდღიანი ლამაზი სანახაობის სპონსორებიც: თბილისის მე-3 სატაქსომორტო გავრთიანება (დირექტორი — ხარბე ბერიაშვილი) და ჯვარლის რაიონის კომერციული საწარმოო ფირმა „ვაზის ცრემლები“ (დირექტორი — თამაზ კონკოშვილი).

### ვიტა ტუხუშვილი

სურათებზე: ზემოთ — გამარჯვებულები 100 კგ წონით კატეგორიაში; ქვემოთ — ამერიკელი დევი შულცი. პარლან გენიპურის ფოტოები.



### ლიბ პარის დღე

ავტორიენტები შეხვდებიან რექტორატის წარმომადგენლებს, წამყვან პროფესორ-მასწავლებლებს.

ფინანსდარი: ი. კავკავაძის პროსპექტი № 1.

## საპარტოველო პროფესიული კონკრეტის პრაქტიკის განსხვავება

ა. წ. 9 თებერვალს, ეროვნულ დამოუკიდებლობის პარტიის შტაბ. ბინაში გაიმართება კონკრეტის მორიგი სესია. რეგისტრაცია იწარმოებს დღის 19 საათიდან. ხელმა დაიწვება 11 საათზე.

ჩვენი გაზეთის 5 თებერვლის ნომერში გამოქვეყნდა სარეკლამო განცხადება — „მხოლოდ გადარიცხვით“. როგორც ფირმა „ახკომ“ გვაცნობა, მასში აღნიშნულ საქმიანობასთან ამჟამად არავითარი კავშირი არა აქვს. რედაქციას არასწორი ინფორმაცია მიაწოდა ფირმა „ვერამ“, რომელიც ამ მხამართზე ფუნქციონირებდა.

## მუთაისის აპაკი წარმეთლის სახელოვის სახელოვნო უნივერსიტეტი

### ახსნაღებს მიღებას 1991-1992 სასწავლო წელს უმედვა სპეციალობებზე:

ქართული ენა და ლიტერატურა, ისტორია, სამართლისმცოდნეობა, ეურნალისტთა, ინგლისური ენა და ლიტერატურა, გერმანული ენა და ლიტერატურა, ფრანგული ენა და ლიტერატურა, რუსული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, გამოყენებითი მათემატიკა, ფიზიკა, ნახევარგამტარები და დიელექტრიკები, შრომა და ფიზიკა, შრომა, კომპიუტერი საქმიანობის ორგანიზაცია და მართვა, ფინანსები და კრედიტები, ქიმიკა, ბიოლოგია, ბიოლოგია ბიო-სამედიცინო ექსპლორაციის საფუძვლებით, გეოგრაფია, დაწყებითი განათლების პედაგოგია და მეთოდთა, დაწყებითი განათლების პედაგოგია-მეთოდთა და მუსიკა, პედაგოგია და ფსიქოლოგია (სკოლამდელი).

### სპეციალობებზე: გეოგრაფია — მათემატიკა (წერა), გეოგრაფია (ზეპირი) საქართველოს ისტორია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

სპეციალობებზე: დაწყებითი განათლების პედაგოგია და მეთოდთა — ქართული ენა და ლიტერატურა (წერა, ზეპირი), მათემატიკა (წერა), საქართველოს ისტორია (ზეპირი). სპეციალობებზე: დაწყებითი განათლების პედაგოგია მეთოდთა და მუსიკა — ქართული ენა და ლიტერატურა (წერა, ზეპირი), მათემატიკა (წერა), მუსიკა. სპეციალობებზე: პედაგოგია და ფსიქოლოგია (სკოლამდელი) — ქართული ენა და ლიტერატურა (წერა, ზეპირი), ბიოლოგია (ზეპირი), საქართველოს ისტორია (ზეპირი).

### შენიშვნა: 1. გამოცდები ჩატარდება ჩამოთვლილი დისციპლინების თანმიმდევრობით.

2. რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობებზე რუსულ სკოლადამთავრებულებმა უნდა დაწერონ თხზულება რუსული სკოლის სისწავლო პროგრამის ფარგლებში, ქართულ სკოლადამთავრებულებმა უნდა დაწერონ წაკითხული უცხო ტექსტის შინაარსი, ხოლო რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ კურსდამთავრებულებმა მათი სურვილის მიხედვით ჩააბარებენ საქართველოს ან სსრკ ისტორიის.

3. აბიტურიენტებს, რომლებიც შედიან იმ სპეციალობებზე, სადა არჩევილი შეიძლება გამოცდის ჩაბარება რუსულ ენაში, გამოცდა ამ საგანში ჩატარდება უცხო ენის გამოცდისათვის დედგეხილი წესით (ნაცნობი ტექსტის შინაარსის თხრობა პროგრამის მიხედვით, უცნობი ტექსტის წაკითხვა, თარგმნა და თხრობა, წერითი სავარჯიშოს შესრულება გრაბატიკაში).

4. აბიტურიენტებმა, რომლებმაც დამთავრეს რუსული სკოლა და შედიან იმ სპეციალობებზე, სადაც ქართული ენა და ლიტერატურა მართლმადიდებელი არ არის, წერითი გამოცდაზე ამ საგანში უნდა დაწერონ წაკითხული არასაპროგრამო ქართული ტექსტის შინაარსი, ტექსტის სიტულები არ გასცდება სასკოლო პროგრამის ფარგლებს. დანარჩენ სპეციალობებზე წერითი გამოცდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში ჩატარდება იმ წესით, რომელიც მითითებულია გაზეთ „მუთაისის“ 1990 წლის 27 ოქტომბრის ნომერში.

5. უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით, მომავალი სასწავლო წლიდან გაუქმდება მოსამზადებელი განყოფილება.

### შენიშვნა: 1. გამოცდები ჩატარდება ჩამოთვლილი დისციპლინების თანმიმდევრობით.

2. რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობებზე რუსულ სკოლადამთავრებულებმა უნდა დაწერონ თხზულება რუსული სკოლის სისწავლო პროგრამის ფარგლებში, ქართულ სკოლადამთავრებულებმა უნდა დაწერონ წაკითხული უცხო ტექსტის შინაარსი, ხოლო რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ კურსდამთავრებულებმა მათი სურვილის მიხედვით ჩააბარებენ საქართველოს ან სსრკ ისტორიის.

3. აბიტურიენტებს, რომლებიც შედიან იმ სპეციალობებზე, სადა არჩევილი შეიძლება გამოცდის ჩაბარება რუსულ ენაში, გამოცდა ამ საგანში ჩატარდება უცხო ენის გამოცდისათვის დედგეხილი წესით (ნაცნობი ტექსტის შინაარსის თხრობა პროგრამის მიხედვით, უცნობი ტექსტის წაკითხვა, თარგმნა და თხრობა, წერითი სავარჯიშოს შესრულება გრაბატიკაში).

4. აბიტურიენტებმა, რომლებმაც დამთავრეს რუსული სკოლა და შედიან იმ სპეციალობებზე, სადაც ქართული ენა და ლიტერატურა მართლმადიდებელი არ არის, წერითი გამოცდაზე ამ საგანში უნდა დაწერონ წაკითხული არასაპროგრამო ქართული ტექსტის შინაარსი, ტექსტის სიტულები არ გასცდება სასკოლო პროგრამის ფარგლებს. დანარჩენ სპეციალობებზე წერითი გამოცდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში ჩატარდება იმ წესით, რომელიც მითითებულია გაზეთ „მუთაისის“ 1990 წლის 27 ოქტომბრის ნომერში.

5. უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით, მომავალი სასწავლო წლიდან გაუქმდება მოსამზადებელი განყოფილება.

### მეშელოვი კომისია.

### ვიზების სათარგმნელ და ანაქეპების შესაქენად

გთხოვთ მიმართოთ ფირმა „ზეეს“, რომლის აღვლისამუშევროც გადატანილია პეტრიავისის ჩიხიდან პეტრიავისის ქ. № 3-ში. ვიზების თარგმნა ხდება ერთ დღეში. ფირმა „ზეესი“ თქვენ მივლიდით ყოველდღე, დასვენების დღეების ჩათვლით, 9-დან 21 საათამდე. გთხოვთ გვეწვიოთ.

სალომონი  
Обществово-политическая еженедельная газета  
«Ахалгварდა» «Иверია»

ტელეფონები: მისაღები — 98-97-81;  
პახუსამეგებელი მდიანი — 98-91-88;  
წერილების განყოფილება — 98-99-89.

საქართველოს ეურნალ-გაზეთების გამოცემლობა „ნაშობლოს“ ხტამბა, თბილისი, შ. კობტაძის 14, იბეჭდება ოცხეტური წეხით ხავაზეთო კორპუსში, ხ-ნაწარულის 29.  
№ 5, 6, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15  
Ham რაქონი 66400

გაუთი გაორის კანაზი ხანჯარ  
საქართველოს კანაზი, უაპაპი.  
რედაქციაში შექონული მასლები ავტორებს უკან არ უბარუნდება.

რედაქტორი  
პარაკ პარაკიანი  
რედაქციის მისამართი  
ა. თბილისი — 380096.  
8. კონსტანსა ა. № 14.